

ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია - კომპანიის პროფილი

2015 წლიდან „მწვანე ალტერნატივა“ გამოსცემს პერიოდულ ანგარიშს „გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ საქართველოში“. გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის განხილვისას ვაფასებთ ე.წ. მსხვილი დამბინძურებლების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მდგომარეობას და ვამზადებთ საქმიანობის მასშტაბითა და გარემოსა და ადამიანების ჯანმრთელობაზე ზემოქმედების თვალსაზრისით ოთხი გამორჩეული სანარმოს პროფილს. ესენია: (1) არემკი (2) ჯორჯიან მანგანები (3) საქნახშირი; და (4) ჰაიდელბერგცემენტი. ეს დოკუმენტი ჰაიდელბერგცემენტის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მდგომარეობას აღწერს.

ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია

2006 წლის მაისში გერმანიის უმსხვილესმა ცემენტის მწარმოებელმა კომპანია ჰაიდელბერგცემენტმა შეიძინა შპს „ქართული ცემენტის“ 51% წილი. მოგვიანებით კომპანია სანარმოს 100% წილის მფლობელის გახდა. შპს ქართული ცემენტი საქართველოში რეგისტრირებულია 2001 წლის 29 ოქტომბერს. მენარმეთა და არასამენარმეო იურიდიულ პირთა რეესტრის თანახმად, სანარმოს მესაკუთრე (2017 წლის 28 ნოემბრამდე) იყო პოლანდიაში 1969 წლის 10 აპრილს რეგისტრირებული კომპანია „ჰაიდელბერგცემენტ სენტრალ იუროფ ისტ პოლდინგ ბი.ვი.“.

2006 წლის ნოემბერში კი, ჰაიდელბერგცემენტმა გაავრცელა განცხადება, რომ ქართული ცემენტის მწარმოებელი სანარმოს „საქცემენტის“ განვითარების მიზნით შპს ჩემექსიმ ინტერნეშენალთან (პოლდინგი საქართველოს ინდუსტრიულ ჯგუფის მფლობელი) ერთობლივ სანარმოს ქმნიდა¹. ჰაიდელბერგცემენტი ახალ სანარმოში აქციების 75%-ის მფლობელი გახდა, ხოლო ჩემექსიმ ინტერნეშენალი - დანარჩენი 25%-ის. შპს „საქცემენტი“ (შემდგომში, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“) საქართველოში რეგისტრირებულია 2004 წლის 20 აპრილს. მენარმეთა და არასამენარმეო იურიდიულ პირთა რეესტრის თანახმად, სანარმოს მესაკუთრე არის პოლანდიაში 2002 წლის 2 თებერვალს რეგისტრირებული კომპანია „კავკასუსცემენტ პოლდინგ ბი.ვი.“, რომლის სამეთვალყურეო საბჭოს წევრები 2016 წლის მდგომარეობით იყვნენ: გელა ბეჟუაშვილი, რობერტ ბეჟუაშვილი, კლაუს ალფრედ შვინდი (გერმანია), ალბერტ შოიერი (გერმანია), კრისტიან კნელი (გერმანია). 2017 წლის 21 ნოემბერის ამონაწერის თანახმად, კომპანიის საბჭოს წევრები არიან: მათის ქოენრად მარია ქრემერს (Mathijs Coenraad Maria Cremers, Netherlands), ინგერ მარიამ ვერსერჰოფ-ცვევერინკი (Inger Mirjam Westehof-Zweverink, Netherlands), ალბერტ შოიერი (Albert Scheuer, Germany), კრისტიან მაიკლი (Christian Mikli, Germany), გიორგი ბაჩიაშვილი და ირაკლი რუხაძე.

კომპანიის რეორგანიზაციის ისტორია

2017 წელს ჰაიდელბერგცემენტმა დაიწყო ქართული აქტივების კონსოლიდაცია. მოხდა შპს ჰაიდელბერგცემენტ კავკასუსის (204430400) შერწყმა შპს ჰაიდელბერგცემენტ კავკასუსთან (202394391) და შპს ჰაიდელბერგბეტონ ჯორჯიასთან (204559003). მანამდე 2009 წელს კომპანიას შპს ალგე-მინერალი (216441660) შეერწყა.

¹ [HeidelbergCement expands in Georgia](#)

2018 წლის 3 აპრილს შპს ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუსი (204430400) თავის მხრივ შეერწყა შპს ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას (230866435), რომელსაც მანამდე მიუერთდა "რუსთავცემენტი" (216291992), შპს "მელიზა" (224071359), კასპიცემენტი (230866747), შპს "კავკასიატრანსი" (216439879) და შპს "კარიერიინვესტი" (216439888).

საბოლოოდ კონსოლიდირებული კომპანიის მფლობელია ჰოლანდიაში რეგისტრირებული „კავკასუსცემენტ ჰოლდინგ ბი.ვი“, რომლის 50% წილს ჰაიდელბერგცემენტი, ხოლო მეორე ნახევარს ჰაიდელბერგცემენტის მიერ გავრცელებული განცხადების² თანახმად, ქართული „[თანინვესტირების ფონდისა](#)“ და კომპანია [Hunnewell Partners](#) მიერ ერთობლივად მართული „ცემენტ ინვესტ ბი.ვი.“ ფლობს.

საინტერესოა, რომ ჰაიდელბერგცემენტის 2017 წლის ანგარიშის³ თანახმად, „2017 წლის 10 ნოემბერს ჰაიდელბერგცემენტმა გაყიდა მისი წილის 55% სრულად კონსოლიდირებულ „კავკასუსცემენტ ჰოლდინგ ბი.ვი.“-სა და მის ქართულ შვილობილ კომპანიებში: შპს ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია, შპს ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუსი და შპს თერჯოლა-კარიერი. გაყიდვის ფასმა შეადგინა 20.8 მილიონი ევრო, რომლის გადახდა მოხდა ნაღდი ფულით“.

ახალი თანამფლობელები

თანინვესტირების ფონდი

„**თანინვესტირების ფონდი**“ 2013 წელს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა და ამჟამად მმართველი პარტიის „ქართული ოცნების“ თამჯლომარემ - ბიძინა ივანიშვილმა დაარსა. ფონდის შესახებ საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი ინფორმაცია ძალიან მწირია. ფონდის ვებ-გვერდი მხოლოდ ინგლისურენოვანია და ფაქტურად არ მოიცავს რაიმე სახის ინფორმაციას კომპანიის შესახებ, გარდა იმისა, რომ, მართული ქონების ღირებულება 2 მილიარდს აჭარბებს. ფონდის შესახებ ყველაზე მეტი ინფორმაცია მისი დაარსებისას გავრცელდა, თუმცა დღემდე უცნობია ზუსტად სად, რა სახელით და ვის მიერ არის კომპანია რეგისტრირებული.

ასევე, ფონდის დაარსებისას პრეზენტაციისას წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ბიძინა ივანიშვილის გარდა, ფონდში ინვესტორები არიან "დაბი ჯგუფი", რაკია (RAK Investment Authority), ამერბაიჯანის რესპუბლიკის ნავთობის სახელმწიფო ფონდი (State Oil Fund of the Republic of Azerbaijan), კომპანია ყაბტრანსოილის წარმომადგენელი კომპანია - ბათუმის ინდუსტრიული ჰოლდინგი (Batumi Industrial Holding Limited), ჩალიკ ჰოლდინგი (Calik Holding A.S), მაილსთონ ინთერნეშენალ ჰოლდინგი (Milestone International Holdings Group Limited), ალექსანდრე მაშკევიჩი, ბადრი პატარკაციშვილის ოჯახი⁴.

² [HeidelbergCement sells half of its Georgian business. 10 November 2017](#)

³ [ჰაიდელბერგცემენტი, წლიური ანგარიში, 2017](#)

On 10 November 2017, HeidelbergCement sold 55% of the shares in the fully consolidated CaucasusCement Holding B.V., 's-Hertogenbosch, Netherlands, and its Georgian subsidiaries LLC HeidelbergCement Georgia, LLC HeidelbergCement Caucasus, and LLC Terjola-Quarry, Tbilisi (CaucasusCement Group). The sales price amounted to €20.8 million and was paid in cash. The divestment resulted in a gain of €4.5 million, which is shown in the additional ordinary income. The participation of 45% remaining after the divestment is accounted for as a joint venture in the consolidated financial statements.

⁴ [თანინვესტირების ფონდის პრიორიტეტები, ავტორი: თათია ხალიანი, ლიბერალი](#)

ასევე, დაარსებისას გავრცელებული ინფორმაციით ფონდს მართავს საქართველოში რეგისტრირებული შპს ჯი სი ეფ პარტნიორები (404992718), რომლის მენილეები იყვნენ: გიორგი ბაჩიაშვილი - 42%, ლევან ვასაძე, რუსეთის ფედერაცია - 16% და უჩა მამაცაშვილი (ბიძინა ივანიშვილის ახლო ნათესავი და ბიზნეს ურთიერთობებში ნდობით აღჭურვილი პირი) - 42%. დღეის მდგომარეობით, კომპანიის 100% წილის მფლობელი და გენერალური დირექტორი გიორგი ბაჩიაშვილია. ლევან ვასაძემ კომპანია 2014 წელს დატოვა, ხოლო 2018 წლის თებერვალში უჩა მამაცაშვილმაც დატოვა.

Hunnewell Partners

კომპანიას აქვს [ვებ-გვერდი](#), რომლის თანახმად Hunnewell Partners არის კავკასიის რეგიონში გამორჩეული კერძო კაპიტალი, რომელიც მართავს აქტივებს ტელეკომუნიკაციაში, მეტალურგიაში (ფოლადი), უძრავი ქონებასა და მედიაში. აქვე აღნიშნულია, რომ Hunnewell Partners მართავს წარმატებულ სასამართლო დავების დაფინანსების ბიზნესს Park Street Litigation-ის სახით, რომელმაც ინვესტიცია გააკეთა ბრიტანეთის უმაღლესის სასამართლოს მიერ განხილულ რამდენიმე დიდ საქმეში ბოლო ათწლეულის განმავლობაში.

კომპანიის მმართველი პარტნიორები არიან: იგორ ალექსევი, ბენ მარსონი და ირაკლი რუხაძე. სხვა რაიმე ღირებულ ინფორმაციას ვებ-გვერდი არ მოიცავს, თუმცა კომპანიისა და მისი დამფუძნებლების შესახებ ვრცელი ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია ბრიტანეთის უმაღლესის სასამართლოს მიერ 2008 წელს გარდაცვლილი მილიარდერის ბადრი პატარკაციშვილის ქონების განკარგავსთან დაკავშირებულ [საქმის მასალებში](#) და დავისადმი მიძღვნილ არაერთ მედია პუბლიკაციაში⁵.

„ჩვენს შესახებ“

ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას არ გაჩნდა ქართული ვებ-გვერდი და ამის შესახებ მწვანე ალტერნატივა კომპანიის 2017 წლის პროფილში უთითებდა⁶. კომპანიის შესახებ ინფორმაცია განთავსებული იყო ჰაიდელბერგცემენტ ჯგუფის მთავარ ვებ-გვერდზე, [სპეციალურად გამოყოფილ განყოფილებაში](#). ინფორმაცია წარმოდგენილი იყო მხოლოდ ინგლისურად. 2018 წელს კომპანიის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია [ქართულადაც](#). ვებ-გვერდის თანახმად, კომპანია ფლობს ცემენტის ქარხნებს კასპში (1) და რუსთავში (2), ასევე ცემენტის წისქვილს ფოთში, ცემენტის ტერმინალს სუფსაში და 13 ბეტონის ქარხანას. კომპანიას საქართველოში 1200-ზე მეტი ადამიანი ჰყავს დასაქმებული. ვებ-გვერდზე წარმოდგენილია ინფორმაცია რეორგანიზაციის შედეგად წარმოქმნილი ახალი სტრუქტურის შესახებ.

ვებ-გვერდზე წარმოდგენილია ქარხნებისა და გამოშვებული პროდუქციის მოკლე აღწერა, რომელიც შესაძლოა პროდუქციის მყიდველისთვის სასარგებლო აღმოჩნდეს; მაგრამ არ არის ინფორმაცია რესურსის მოპოვებისა და გადამუშავების პროცესზე, რომელიც ამ პროცესების გარემოსა და ადამიანების ჯანმრთელობაზე ზემოქმედებით დაინტერესებული პირისათვის არის მნიშვნელოვანი.

⁵ „ბრიტანულმა სასამართლომ ირაკლი რუხაძე Salford-ის მილიარდიანი პროექტის მითვისებაში ამხილა“, ავტორი: შოთა ტყემელაშვილი, <http://forbes.ge>

„ლონდონის სასამართლო: ირაკლი რუხაძემ პატარკაციშვილის აქტივების მოძიების ბიზნესი უკანონოდ მიითვისა“, www.on.ge

⁶ ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია - კომპანიის პროფილი 2017, www.greenalt.org

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა

კომპანიის ვებ-გვერდზე ცალკე წარმოდგენილია განყოფილება, რომელიც კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობას ეძღვნება და მოიცავს შემდეგ თემებს:



- ჯანმრთელობა და უსაფრთხოება - აღნიშნულია, რომ ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია ტრენინგების და ტექნიკური ღონისძიებების საშუალებით მუდმივად აუმჯობესებს პროფესიულ სტანდარტებს ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სფეროში;
- თბილისი მარათონი - „თბილისი მარათონი ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას მიერ ორგანიზებული სოციალური პროექტია, სადაც ყოველწლიურად დაახლოებით 2500 ადამიანი იღებს მონაწილეობას. თავისი არსებობის 7 წლის მანძილზე, თბილისი მარათონმა საერთაშორისო ღონისძიების სტატუსი მიიღო და ძალიან წარმატებულ საქველმოქმედო პროექტად იქცა“ - აღნიშნულია ვებ-გვერდზე. საგულისხმოა, რომ მარათონი ტრადიციულად თბილისში, კომპანიის [სანარმოო არეალიდან](#) მოშორებით ტარდება;
- Quarry Life Award - ვებ-გვერდზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „მსოფლიოს 1000-ზე მეტ კარიერზე ჰაიდელბერგცემენტი იღწვის უნიკალური ფლორისა და ფაუნის ხელშეწყობისათვის და ამისათვის კომპანია უზრუნველყოფს ბიომრავალფეროვნების მართვას, როგორც წიაღისეულის მოპოვების დროს, ისე შემდგომ პერიოდში...პროექტი მიზნად ისახავს კარიერების ბიოლოგიური ღირებულების შესახებ ცოდნის გაღრმავებას და წვლილის შეტანას ბიომრავალფეროვნების განვითარებაში. ჰაიდელბერგცემენტი ინვესტს სტუდენტებს, მკვლევარებს, მეცნიერებს, ექსპერტებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს, რათა წარადგინონ საპროექტო წინადადებები კომპანიის კარიერებზე ბიომრავალფეროვნების ამაღლებასთან დაკავშირებით“. ამ განყოფილებაში წარმოდგენილი ინფორმაციიდან რთულია რაიმე დასკვნის გამოტანა, თუმცა უფრო მეტი ინფორმაციის მიღება განხორციელებული პროექტების შესახებ შესაძლებელია ისევ ინგლისურენოვან გვერდზე, რომელიც კონკურსს ეძღვნება.
- „კლიმატის დაცვა“ - ამ ქვესათაურით წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას მიზანი გარემოს დაცვის სფეროში კლიმატის დაცვა, ემისიების და გარემოზე სანარმოების ზემოქმედების შემცირება გახლავთ. ამისათვის საჭიროა მაღალი სტანდარტები, რის მიღწევასაც კომპანია საერთაშორისო ჯგუფში ცოდნის გაცვლით და გარემოსდაცვითი მმართველობის სისტემის დანერგვით ახერხებს. ჰაიდელბერგცემენტის საერთაშორისო ჯგუფის მიერ სანარმოებში, მთელი საქართველოს მასშტაბით, ფილტრების დასამონტაჟებლად 12 მილიონ ევროზე მეტი ინვესტიცია განხორციელდა. ფილტრების პროექტი 2007 წელს დაიწყო და 2008 წლის ბოლოსკენ დასრულდა. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება საშუალებას გვაძლევს, ნაკლები ზიანი მივაყენოთ ადამიანებს და გარემოს. სანარმოებში მტვრის უტილიზაცია 99%-მდეა შემცირებული, რაც იმის მაჩვენებელია, რომ კასპის და რუსთავის **მოსახლეობას გარემოს დაბინძურება ვეღარ შეაწუხებს**“. მიუხედავად აღნიშნულისა, დროა დრო მედიაში ჩნდება ცნობები სანარმოების ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მოსახლეობის უკმაყოფილებისა და საპროტესტო აქციების შესახებ (განსაკუთრებით კასპში). მოსახლეობა ძირითადად სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების ცემენტით დაბინძურებისა და ქარხნებიდან გამონაბოლქვის შესახებ ჩივის.

გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია

ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია არ აწვდის საზოგადოებას ინფორმაციას საწარმოს საქმიანობის შედეგად გარემოსათვის მიყენებული ზიანის და/ან გარემოს მდგომარეობის შესახებ; გარემოზე ზემოქმედების შემცირების და/ან თავიდან აცილებისთვის განხორციელებული და/ან დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

კომპანიის საქმიანობის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ ტერიტორიაზე გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას საზოგადოებას არც გარემოსა და სოფლის მეურნეობის დაცვის სამინისტრო აწვდის, მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნების თანახმად, ეს ინფორმაცია პროაქტიულად - მოთხოვნის გარეშე ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისთვის. გარემოს მდგომარეობის შესახებ მომზადებული ბოლო ეროვნული ანგარიში⁷ მხოლოდ აღნიშნულია, რომ „საქართველოში განსაკუთრებით დიდი მტვერგაფრქვევით ხასიათდება მრეწველობის ისეთი ქვედარგები, როგორცაა: ცემენტის, გაჯის, ასფალტ-ბეტონის წარმოებები. დღეისათვის სამრეწველო სექტორი ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების თვალსაზრისით წარმოდგენილია რამდენიმე მსხვილი ობიექტით: ქვემო ქართლში - სს „ენერჯინვესტის“ საწარმო „აზოტი“ და შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ რუსთავეცემენტი, შიდა ქართლში - შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ კასპიცემენტი, ხოლო აჭარაში - შპს „ბათუმის ოილ ტერმინალი“. რა სახისა და მასშტაბის არის დაბინძურება და/ან რა საფრთხის შემცველია გარემოსა და ადამიანებისათვის - ანგარიში ამის შესახებ ინფორმაციას არ მოიცავს.

⁷ 2010-2013 წლების ეროვნული მოხსენება გარემოს მდგომარეობის შესახებ.



თბილისი, 0179,
 ფალიაშვილის ქ.#39ბ, IV სართ.
 ტელ.: 222 38 74
GREENALT@GREENALT.ORG
WWW.GREENALT.ORG

დოკუმენტი გამოცემულია მწვანე ალტერნატივას, ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალურ ბიუროსთან თანამშრომლობით, მიმდინარე პროექტის ფარგლებში - „ადვოკატირება მინერალური რესურსების გამჭვირვალე და პასუხისმგებლიანი მართვისთვის“ და ღია საზოგადოების ფონდების ქსელის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის „ენერჯეტიკის, წიაღით სარგებლობისა და ტრანსპორტის სექტორებში მმართველობის გაუმჯობესების ხელშეწყობისათვის საქართველოში“ ფარგლებში.

ანგარიშის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია მწვანე ალტერნატივა და ის არავითარ შემთხვევაში არ გამოხატავს ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიუროსა და ღია საზოგადოების ფონდების ქსელის შეხედულებებს.

ავტორი: ნინო გუჯარაიძე

© მწვანე ალტერნატივა, 2018